



# PRESS RELEASE

გავრცელდეს დაუყოვნებლივ

16 ნოემბერი, 2018

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ:

ქეთი რეხვიაშვილს, USAID Zrda Activity

+995 32 222 74 95/ krekhvishvili@zrda.ge

## საქართველოს ტერიტორიის ეროვნული ადმინისტრაციის და USAID/Zrda-ს ინიციატივით სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია (DMO) დაფუძნდება

**რაბათის ციხე, ახალციხე** - 2018 წლის 16 ნოემბერს, მისიის უფროსის მოადგილემ, ელიზაბეთ რუდმა და საქართველოს ტერიტორიის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, გიორგი ჩოგოვაძემ, სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორთან, ბესიკ ამირანაშვილთან ერთად, სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიის მართვის ორგანიზაციის (DMO) სამომავლოდ დაფუძნების შესახებ ოფიციალურად განაცხადეს.

DMO-ს დაარსებით, Zrda და საქართველოს ტერიტორიის ეროვნული ადმინისტრაცია ერთობლივად განსაზღვრავენ რეგიონში ტერიტორიის განვითარებასთან დაკავშირებულ გამოწვევებს და დაადგენენ პრიორიტეტებს, რაც ხელს შეუწყობს რეგიონის პოპულარიზაციას და მის უკეთ წარმოჩენას, ასევე სამცხე-ჯავახეთში ეკონომიკური ზრდისა და დასაქმების ხელშეწყობას. სამცხე-ჯავახეთის DMO გაითვალისწინებს რეგიონის, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის შესახებ უკვე არსებულ კვლევებს და ასევე თავს მოუყრის სხვადასხვა დონორებისა და სფეროში მომუშავე ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ სტრატეგიულ დოკუმენტებს. გარდა ამისა, DMO ჩაატარებს რეგიონში ყველა ტურისტული ღირსშესანიშნაობის არსებული მდგომარეობის ანალიზს, მოიძებს და დანერგავს ახალ მიდგომებს, რაც ხელს შეუწყობს რეგიონის პოპულარიზაციას და მის უკეთ წარმოჩენას, როგორც საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო ტურისტული რეგიონის, სადაც ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობას ერწყმის ბუნების განუმეორებელი სილამაზე და სათავგადასავლო ტურიზმისთვის დამახასიათებელი უპირატესობები. სამომავლოდ Zrda და საქართველოს ტერიტორიის ეროვნული ადმინისტრაცია გეგმავს სამეგრელო-ზემო სვანეთის DMO-ს შექმნას, გარდა ამისა ტერიტორიის ეროვნული ადმინისტრაცია უკვე თანამშრომლობს მსოფლიო ბანკთან კახეთისა და იმერეთის DMO-ების დაარსების მიმართულებით.

სამცხე-ჯავახეთის და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონების ტერიტორიის განვითარების მოდელის შექმნის ხელშეწყობის და მისი პოპულარიზაციის მიზნით, Zrda და ტერიტორიის ეროვნული ადმინისტრაცია 2016 წლიდან მჭიდროდ თანამშრომლობს და ტერიტორიის განვითარების სამუშაო ჯგუფთან ერთად ორგანიზება გაუწია რეგიონული ტერიტორიის განვითარების 2 სიმპოზიუმს სამცხე-ჯავახეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში, სადაც აღნიშნულ რეგიონებში ტერიტორიის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემები და გამოწვევები განისაზღვრა. Zrda-ს მხარდაჭერით ასევე გამოიცა კულინარიული წიგნი „მესხური ტაბლა“, რომელიც სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიის განვითარების სამუშაო ჯგუფის პირველი ინიციატივაა.

საქართველოს ტერიტორიის სწრაფად მზარდი სექტორი, რეგიონული ტერიტორიის განვითარების მიზნით, ახალი ტურისტული პროდუქტის შემუშავებას, ახალი ტურისტული ობიექტების და



ღირშესანიშნაობების პოპულარიზაციას და ტურიზმის სექტორში ჩართული მხარეების ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის გაუმჯობესებას კომპლექსური მიდგომის გამოყენებით მოითხოვს. სწორედ ამიტომ Zrda ინტენსიურად მუშაობს საქართველოს წამყვან ტურ-ოპერატორებთან ერთად რათა შეიმუშავოს ახალი, საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებული ტურისტული პროდუქტები. პროექტმა ასევე, მის სამიზნე რეგიონებში, ახალი ტურისტული პროდუქტების პოპულარიზაციის მიზნით, ორგანიზება გაუწია საინფორმაციო ტურებს, ვორქშოპებს და ტრენინგებს. აღნიშნული აქტივობის შედეგად მოხერხდა 3.2 მილიონი აშშ დოლარის გაყიდვების გენერირება. დღემდე, Zrda-ს მიერ მხარდაჭერილი, მასპინძლობის ინდუსტრიაში და კვების სექტორში მომუშავე სუბიექტების მიერ, რომლებიც დარეგისტრირდნენ საერთაშორისო საძიებო სისტემებში, როგორებიცაა - Booking.com, Tripadvisor.com, და AirBnB.com, გენერირებულმა გაყიდვებმა 5.5 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. ასევე, საქართველოში სათავგადასავლო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, Zrda-მ ლაშქრობების, კემპინგის, ჯომარდობისა და კანიონინგის მიმართულებით 60 გიდი გადაამზადა.

**საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის (GNTA) შესახებ:** საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია (GNTA) არის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი და სახელმწიფო კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს თავის საქმიანობას. GNTA-ის მიზნები და ამოცანებია საქართველოს ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბება და განხორციელება, მდგრადი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, ტურიზმის განვითარების საფუძველზე ქვეყანაში მაღალი საექსპორტო შემოსავლების ზრდისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა, ასევე საქართველოში უცხოელი ტურისტების მოზიდვა და შიდა ტურიზმის განვითარება, ტურისტული ადგილების, ინფრასტრუქტურისა და ტურიზმის სფეროში ადამიანური რესურსების განვითარების ხელშეწყობა. დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ: [www.gnta.ge](http://www.gnta.ge)

**USAID-ის საქმიანობის შესახებ საქართველოში:** უკანასკნელი 26 წლის განმავლობაში ამერიკმა ხალხმა USAID-ის საშუალებით 1.5 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი თანხის ინვესტიცია განახორციელა საქართველოში. პროექტები, რომელთა მიზანია დახმარება გაუწიოს საქართველოს თავისუფალი და განვითარებული დემოკრატიის მშენებლობაში, მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება და ჯანდაცვისა და განათლების სისტემების გაუმჯობესება. USAID-ი ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ დახმარებას უწევს 100-ზე მეტ ქვეყანას. დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ: <https://www.usaid.gov/georgia>

**USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტი ზრდა** არის ხუთწლიანი პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას საქართველოს ხუთი რეგიონის 81 თემში. ზემოაღნიშნულის მისაღწევად, პროექტი განახორციელებს შემდეგ ინიციატივებს: მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების განვითარება; სოფლის მეურნეობის შემოსავლების ზრდის ხელშეწყობა; მენარმეებსა და მყიდველებს შორის საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბება და განვითარება; ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა ბიზნესკავშირების დამყარებისა და გაძლიერების მეშვეობით. პროექტი მოიცავს ადმინისტრაციული საზღვრისპირა და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული თემებს. პროექტის განხორციელების შედეგად სამიზნე თემებში შეიქმნება სამუშაო ადგილები, ოჯახებს გაეზრდებათ შემოსავლები და მნიშვნელოვნად გაძლიერდება ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა. დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ: <https://www.facebook.com/zrda.ge>; [www.zrda.ge](http://www.zrda.ge)